


ლიცენოცენტრული საშური



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშურის მოამბის“ დამატება
№2, 28 თებერვალი, ორშაბათი, 2022 წელი

წმინდანოვობა



გიორგი
ლობჯანიძე



48

გაცნობა


გამარჯობა,
მე ეს წყალი უკვე გავტოპე
და აღარაფრის აღარ მჯერა:
არც სიყვარულის,
არც ქაბუკური გულჩვილობის,
არც სინმინდისა.
ყბაში მოქნეულ მუშტის მჯერა,
კბილის ტკივილის,
ცხედრის, რომელიც საბოლოოდ
ძლივს იმად იქცა,
რაც ნაღდად იყო.
სადაც წავედი, ყველგან მგლები შემომემუიან,
მე ვდგავარ და მთვარეს შევყვები,
მაგრამ არა – როგორც გიჟი შეყვარებული,
არამედ მგელი, –
მშიერი და კბილმტკივანი,
მიუსაფარი,
მუხლამდე თოვლის გამკვალავი –
ტყიდან სოფლამდი.
გამარჯობა,
ახლა უკვე დავიყვავილე,
ყველა მდინარე გადავტოპე,
ყველა ქარს გავყვებ,
ათივე მცნება დავარღვიე,
ვიდრე ბოლოს, ძლივსძლივობით,
იმად არ ვიქცე,
რაც ნაღდად ვიყავ –
ბედნიერი მიცვალებული, რომელსაც
სიყვარული აღარ სჭირდება...
შიშველი თიხა
პრეზერვატივს ვერაფერში გამოიყენებს,
მინის გარდა, ველარავის შეენებება.
ვინც შენ გინდა, ის გამაცანი,
ნარჩევ-ნარჩევი სატრფოებიც წარმომიდგინე,
სიყვარულის ბოლო ერთია,
უკმარია,
ვილაცაში უნდა შეთავდეს...

ღმერთო, როგორ მეშინია ცრუნმინდანების,
უფრო სწორად, მეშინია წმინდანებისა,
რადგან აქ, სადაც ხელთ არა მაქვს
უბინობის ინდიკატორი,
როგორ ვარკვიო,
ვინ ცრუა და ვინ ნამდვილია,
ვინ რას იჩემებს
და ვის თავზე მოჩუხჩუხებს
ღვთიური მადლი...
ხილაბანდები წაუკრავთ თავზე,
ჰგონიათ, რომ ბანაობენ შარავანდედში...
როგორ ვიცნო შენი წმინდა ხელი, უფალო?
მე ხომ იქ გხედავ,
სადაც სხვები ვერაფრით ვერ წარმოგიდგენენ:
მეძავი ქალის გადაქანცულ, სნეულ საშოში,
ნარკომანის დასუსტებულ, მიმკრთალ ვენებში,
იმ ტრასვესტიტის მოჭრილ ასოში,
რომელსაც სურდა ღვთისმშობელი ყოფილიყო,
და ისე სურდა,
რომ საკუთარ თავსაც კი გასცდა,
მაგრამ მეტი, როგორც ხედავ,
არაფერი გამოუვიდა...
რად ჩამინერგე დახურული სივრცის შიში,
თუკი ლიფტში უნდა მეცხოვრა? –
ამ სიმყრალეში, სადაც
იმასაც კი ვერ ვარკვივ,
საით მივდივარ –
ზემოთ, შენკენ, თუ ქვემოთ,
იქ, ეშმაკებისკენ... მივექანები
და თავს კედლებს ვუხატუნებ
და არაფერი არ ინგრევა,
არაფერი, არაფერი,
არაფერი, არაფერი!..
აღარაფერი...
რად დახურე ეს სამყარო სინმინდეებით?
სადაც ყველაფერს მუდამ
ერთი მნიშვნელობა აქვს,
ხოლო ენად სინონიმთა ენა მომეცი,
რომელიც მუდამ გაიღება ნიუანსისკენ
სათქმელისა და არსის უკეთ გამოსახატად.
განა ფანჯარა
სრულად იტევს მზეს და სინათლეს,
განა სიტყვა უკვე მტკიცე ჩარჩო არ არის,
რომელიც საზღვრავს, აფასებს და განიკითხავს
სოფელს, შენ რომ უსაზღვროდ შექმენ...
რა არის ცოდვა? სიყვარული?
მაგრამ შენ ხომ სიყვარული ხარ, ისე საშიში,
როგორც ძრწოლა დახურული სივრცის წინაშე,
ანდა, როგორც სიმალის შიში,
მწვერვალზე მდგომს
ზურგიდან რომ ხელსა გკრავს და
უფსკრულისკენ მიგაფრიალებს...
რა არის ცოდვა?
როგორ მტანჯავს ერთი სიზმარი:
ჩვენს უბანში მოყუჩებულ ადგილებში
დაყრილ შპიცებზე ფეხშიშველი დააბიჯებს
ჩემი რვა წლის სულელი ბიჭი –
ცალმხრივ გათიშული...
ცალმხრივად ვარ გათიშული!
მიზეზია შესანიშნავი...
რა თქმა უნდა, მობილური იგულისხმება
და არა ის,
შეკითხვაზე ან უბრალო გამონვევაზე

პირდაპირ პასუხს რომ გაურბი,
თავს რომ არიდებ...
შესანიშნავი მიზეზია –
არცერთ მესიჯს არ უპასუხო,
ან მიმონერა იქ შეწყვიტო,
როცა მთავარი უნდა ითქვას,
სადაც რაღაც უნდა გაირკვეს.
სწორედ უპასუხო გრძნობათაგან ბურბურებს
ჯოჯოხეთი – ხეობა,
სადაც ყვავილები გადაიშლებოდა,
შენ რომ ერთხელ მაინც გეპასუხა
გადამწყვეტ მომენტში...
მთელი ცხოვრება ცეცხლს მივარღვევ –
ცალმხრივ გათიშული...
და ყველაფერში
არა შენი გულგრილობა, არამედ
ეს მობილური იგულისხმება...

აგლაონემა

ბაგაში მწოლივით ავყურებ
ჩემი ბინის წინა პატრონის მიერ,
ჩემი ოთახის ქერზე დამაგრებულ
ხელოვნურ ვარსკვლავს, რომელიც ახლა
სწორედ, საწოლის თავზე მიბრწყინავს
შობის ვარსკვლავივით.
და ვფიქრობ:
„მაინც რა ცივი და ნესტიანი თვეა დეკემბერი!“
ადრე აქ ალბათ, ყმანვილების ოთახი იყო,
ამიტომაც მოურთავთ მზრუნველ მშობლებს
ჭერი ვარსკვლავებითა და პლანეტებით...
ჩემს ხელში კი ყველა პლანეტა ჩამოვარდა
და მხოლოდ ეს, ერთი ვარსკვლავილა დამრჩა
ზუსტად თავით.
ორი კვირის წინათ ჩემს ოთახში შემოტანილ
ყვავილს,
რომელსაც უცნაური სახელი ჰქვია – აგლაონემა
და, რომელიც, თურმე, მიკრობებსა და სიგარეტის
ჭვარტლს შთანთქავს და ანადგურებს,
ხმოზა შეჰპარვია.
ცოლი მეუბნება: „უნდა გავიტანო
ეს, აგლაონემა აქედან!
ვერ ძლებენ და ხმებიან
შენ გვერდით ყვავილები!“ – ეს სიტყვები
მეც პოეზია მეგონებოდა,
ასეთი მწარე სიმართლე რომ არ იყოს,
წამლის კაფსულისგან
ენის წვერზე დატოვებული მძალე გემოსავით.
ვერც პლანეტები ძლებენ და ცვივიან.
მხოლოდ ეს, ერთადერთი, ხელოვნური
ვარსკვლავილა შემომრჩა დეკემბერში...
და რა მოხდა მერე?
ეს, ერთიც სრულად საკმარისია,
რომ ისიც და ჩემი თავიც
აღმოსავლეთის ვარსკვლავი მეგონოს
და ვიფიქრო:
ყოველი, ვინც მე მკარგავს,
ისე, თითქოს, გულის ჯიბიდან
მობილური ტელეფონივით
შემთხვევით ვუვარდები,
ცოტა ხანში აღმოაჩენს,
რომ მთელი თავისი კონტაქტები
სწორედ, ამ ტელეფონში ჰქონდა ჩანიშნული.



ასე აცილებდა ხაზური აკაკის...
(ციკლიდან „ხაზურული ამბები“)

1915 წლის 26 იანვარს, საქართველოს ბულბულმა – აკაკი წერეთელმა ამქვეყნიური ცხოვრების კარი გაიხურა და მარადისობაში გადავიდა. აკაკის ცხედარი სპეციალური ვაგონით საჩხერიდან თბილისში წაასვენეს. მოსახლეობა რკინიგზის სადგურებზე ხვდებოდა საყვარელი მწერლის კუბოს და ცრემლით, ყვავილებით, სიყვარულითა და სასოებით მიაცილებდა თბილისისაკენ.

ასე იყო ხაზურის სადგურშიც...
სადგურის ბაქანი ხალხს ვერ იტევდა. აი, მატარებელიც ჩამოდგა და ხალხმა იხილა ძვირფასი კუბო. მაშინ ჭაბუკი ვახტანგ ჩიქოვანი ვაგონში ავარდა და შუბლზე ემთხვია აკაკის.

სხვებთან ერთად აქ იყო ხაზურის გიმნაზიის პედაგოგი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი იოსელიანი, რომელმაც ზღვა ხალხის საოცარ სიჩუმეში შესანიშნავი სიტყვით მიმართა დიდებული მგოსნის ცხედარს. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ივერია“ წერდა:

„აი, ამ უხვად მგზნებარე ეროვნულმა ცეცხლმა შეაძლებინა ბატონ გიორგის წარმოეთქვა დაუვინყარი სიტყვა აკაკის გასვენებაზე, რომელსაც ხაზურის საზოგადოება რკინიგზის სადგურის ბაქანზე მონინებით, მუხლმოდრეკით შეხვდა.

ხაზურის საზოგადოებას, მრავლად თავმოყრილს, იმ დღეს ბ-ნ გიორგისაგან ესმა მკვეთრი გრძნობით და ცრემლით შეზავებული შესანიშნავი სიტყვა, რომელმაც მწარედ აგრძნობინა დამსწრეთ სიდიადე ეროვნული უბედურებისა, გამონვეული აკაკის დაკარგვით. მდულარე ცრემლით სტიროდა მოხუცი ბატონი გიორგი და ეუბნებოდა აკაკის: „შენ იყავ მოსე წინასწარმეტყველი, რომელმაც გააპე შენი კვერთხით ზღვა მენამული“.

გომის სადგურზე კი მოხსილმა გლეხმა, ქართული პოეზიის უბადლო მცოდნემ და დამფასებელმა – ლექსო ლობჯანიძემ პურის თავთავისაგან დანწული გვირგვინით შეამკო აკაკის კუბო და უჩვეულო ოსტატობით წაიკითხა „განთიადი“.

არც სიკვდილის შემდეგ დავინწყინა დიდი პოეტის სახელი ხაზურს. ამის დასამტკიცებლად, ვფიქრობთ, ეს ცნობაც იკმარებს:

„ხუთშაბათს, 16 აპრილს, ხაზურის დრამატული წრის მიერ საკუთარ დარბაზში (ვ. ჯაფარაშვილის შენობაში), გამართულ იქნა აკაკის საღამო, რომელიც შედგებოდა ხუთი განყოფილებისაგან.

საღამოს დაწყებისთანავე, ხაზურის სცენისმოყვარეთა თავმჯდომარემ – კ. ძნელაძემ წინადადება მისცა ხალხს, ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ჩვენი დიდებული მგოსნის სსოვნისათვის. შემდეგ ხაზურის გიმნაზიის დირექტორმა ბ-ნ ა. ვ. მდივანმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „აკაკის მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურაში“. ლექციამ მსმენელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ლექტორი მხურვალე ტაშისა და ვაშას ძახილით დააჯილდოვეს. მეორე განყოფილებაში სცენა საგულისხმო სანახაობას წარმოადგენდა. სცენის შუაგულში ყვავილებით მოსილი აკაკის სურათი იყო დადგმული, რომელიც აკაკის საღამოსთვის დაეხატა ხაზურის გიმნაზიის მოწაფეს ა. ციციქიშვილს. სურათის მარჯვნივ და მარცხნივ ყვავილებით ხელში მოწაფეები იდგნენ და რიგრიგობით ჰკითხულობდნენ პოეტის ლექსებს.

1 მარტს ხაზურის სცენისმოყვარეებმა დადგეს აკაკი წერეთლის დრამა „პატარა კახი“, რომელიც აკაკის ხსოვნის პატივსაცემად, ი. ზარდალიშვილის რეჟისორობით წარმოადგინეს.“ (გაზეთი “სამშობლო” 1915 წ. № 64)

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ წერდა: „სწორედ რომ მოხდენილს და შესაფერ დროს დადგა ი. ზარდალიშვილმა „პატარა კახი“. იმდენად დიდია სიყვარული და პატივისცემა აკაკისადმი ჩვენს ხალხში, რომ გამოფინეს თუ არა აფიშები ქუჩებში, ხაზურის საზოგადოების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. წარმოდგენის დღეს აუარებული ხალხი მოაწყდა თეატრს და უადგილობის გამო ბევრი გულდანყვეტილი დაბრუნდა უკან.“ (ნიკო გურული).

მურად მთვარელიძე – პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

... და ტიროდა აკაკი!..
„აკაკი ატირდა და თქვა, უამხანაგოდ ვკვდებიო“ –
ნიცა წერეთლის მოგონებიდან

რამ აგატირა ცრემლებით, უხვით, თავი რად იგრძენ უამხანაგოდ? შენ – პოეზიის ფესვმაგარ მუხას თვით ზეცა უნდა მოგექარაგმოს. რამ შეაშფოთა კაცი-პოეტი? რატომ ატირდა ღმერთი ზეციდან?! რომელ ამხანაგს უნდა მოეძღვნა შენთვის ძვირფასი ის ფიც-ვერცხლი და... ვის უნდა ეთქვა ერთი სიმართლე, თუ არ მზეს – მბრწყინავს ქვეყნის ბომონდად, სად გაგონილა, ანდა სად თქმულა, ღმერთს ამხანაგად ვინმე ჰყოლოდა? ცრემლად გადმოღვრილ ვარსკვლავთ აღმასებს იმერეთის ცა ჩუმად კვირვობდა და აქ – სხვიტორულ მინის ბაქანზე კაცი კი არა, ღმერთი ტიროდა...



თბილისში პირველად როცა ჩავედი და მოთხრობები ჩავიტანე, ტალახი მქონდა მუხლზე. ტალახს ახლაც არ ვიცილებ, მიყვარს ქართული მინა...

სკოლაში სამიანებს მიწერდნენ, ობოლი ვიყავი და, იმიტომ. თორემ ისიც არ მეკუთვნოდა. უმაღლესში არ მისწავლია. იქ ვინ შემიშვებდა?

და, ამ დროს, მოთხრობები რედაქციაში მიმაქვს დასაბეჭდად. წიგნი მე არ მქონდა წაკითხული... პირველი წიგნი ჩემი დაწერილი წავიკითხე.

წაიკითხეს მოთხრობები და გაოგნდნენ.
– მე დავწერე, არადა, არავითარი პირობა არ გამაჩნდა იმისი, რომ ეს დამეწერა. დაიბნენ...

– კი, ეს დასაბეჭდია, მაგრამ დაიცა... იქნებ რაღაცას ეშმაკობს? საიდანმე ხომ არ ქაჩავს? იქნებ ენები იცის და არ გვიმხელს?

ჟურნალ „დილას“ რედაქტორი იოსებ ნონეშვილი იყო და მისი მოადგილე გახლდათ მაცყალა მრეველიშვილი. გამიშვეს მასთან. მაცყალა მეკითხება:

– შვილო, ოცია, შენ თუ ყურს არ უგდებ ამ ცხოვრების წარმავლობას, შენგან დიდი მწერალი დადგება! – და მისახელებს რაღაც ფრანგულ ჟურნალს, – ხომ არ მიგილიაო? მაშინ კი არა, ახლაც არ ვიცი, რა ჟურნალზე მეკითხებოდა... მოკლედ, ვერაფერი გაარკვიეს.

ჟურნალის ყველა ნომერს თვის ბოლოს კოლეგია არჩევდა და მეორე დღეს იკრიბებოდა. მათ შორის იყო აკაკი ბელიაშვილი და გამაგზავნეს მასთან. მივედი.

– ვინ ხარ? – ესა და ესა-მეთქი.
– რა გინდა? – რა ვიცი, თქვენთან გამომავ ზავნეს-მეთქი.
– ხომ არაფერს წერ?

– კი, ბატონო, – ვუთხარი. მომეციო, – წაიკითხა. კიდეც ხომ არ გაქვსო?
– კი, ბატონო. ყველა ჯიბეში მქონდა. იკითხა, იკითხა და:
– ნადი ახლა შენ. მე მკითხონ იმათმაო.

არ ვიცი, რა უთხრა აკაკი ბელიაშვილმა ჟურნალ „დილას“ კოლეგიას, მაგრამ დაიწყეს ჩემი მოთხრობების ბეჭდვა და, რასაკვირველია, ამის შემდეგ ჩემში ეჭვი აღარავის შეპარვია.

ოყნოს იოსელიანი

დ ე ბ ი უ ც ი



ხათუნა გელაშვილი – პოეტი და ჟურნალისტი, შიდა ქართლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დაიბადა და სკოლა დაამთავრა სურამში. არის ხუთი კრებულის ავტორი, საქველმოქმედო ფონდის დამფუძნებელი და არაერთი საქველმოქმედო ღონისძიების ორგანიზატორი.

ხათუნა შემოქმედებით ნატურას და საზოგადო საქმიანობას წარმატებით უთავსებს ერთმანეთს.

პოეტი ქალის ფაქიზი ლირიკა გულგრილს არ დატოვებს „ლიტერატურული ხაზის“ მკითხველს.

* * *

... და გამახსენდა ჩვენი ტყის ქოხი – ჩვენს ბავშობაში რომ ჩავდგით წყლის პირს, შენ რომ სალამოს მოგქონდა დოქით ღვინო და, ბუხრის ალთან რომ ვშლიდით სუფრას... ჯორკოზე მიფენდი ფარდაგს, მისხამდი ღვინოს, კაფიებს ვთხზავდით, გაზაფხულობით ვინყებდით დარგვას ნეკერჩხლის ხის და უეკლო ვარდის... ერთად რომ ჭიგოს ვასობდით სუროს, ვავსებდით ქვევრზე აყოლილ ბზარებს, რკინაზე, ცეცხლში რომ ცემდი უროს ფოლადს და ცხენებს უჭედდი ნალებს... განვიმდეს გინდა? წვიმაში ფეხშველს გვიყვარდა ჩავლა ქალების ბოლოს, დილით რომ შიშველ ნაფეხურებში თვალს ჩაგვიკრავდა შავჩოხა სოკო. ჭილებით ვწნავდით კალათს და ხეზე მიჰქონდათ ბულო შეცივნილ ჩიტებს, შენ წინსაფარი გიყვარდა ნელზე ჩემი და, მჭადზე გიმჩნევდი თითებს. ვიდგამდი მხარზე გატეხილ კოკას და ვინურავდი კაბას მალულად, ბიჭებს უქადდი ჩემს მოკვლას თუმცა, მერე კოცნიდი იმ თოფის ლულას... არ გვეყო მთელი ბავშობა მაინც, ვერ გამოვლიეთ იმ ქოხში საქმე, ვერც სიყვარული... და მერე საით წავედით? – ქოხიც მარტივად დავთმეთ! – მას შემდეგ დაგვაქვს ტვირთად და დალად ჩვენივე ჯვარი, ცოდვებით შემლილთ, ჩვენ ახლა ჩვენი სამყარო გვაქვს და ის ქოხიც ჩვენვე გადავწვით ჩვენში... უკვე აღარ თოვს ზღაპრულ ფიფქებად... ჩვენმა შვილებმა – ჩიტებ-ლაბუამ არც კი იციან, როგორ იქმნება გუნდიდან დიდი თოვლის ბაბუა... და არც ვუყვებით... ამ გულის ჭიშკარს ვიცავთ და ველარ მივეახლებით, ნასახლარებში ვცხოვრობთ და გვიდგას, ახლა, ჩვენ ჩვენი დიდი სახლები... და ქარი ისევ დაათრევს ფოთლებს, ფოთლებს დეკემბრის კალთებით ზიდავს, გვინდა, რომ თოვდეს... მაგრამ აღარ თოვს აღარც კი ვიცით, რას ნიშნავს „გვინდა!“

* * *

უიღბლო ღამე გვითევია უკვე რამდენი, რაც იყო, ახლა, წარსულს მაინც ვერ ჩაბარდება, დრო მოვა, ვიცი, მე ჩემს ლექსებს, შენზე დანერვილს, შენს სავალ გზებზე დაგილაგებ ფიანდაზებად... ვიცი, რომ ტკივილს იებივით ფერება უნდა, ბევრჯერ გაგიშვი, ბევრჯერ დამთმე... მერე ვინანეთ, ტკბილი ცოდვის ჩადენა ურცხვად ორივეს გვსურდა, მაგრამ ვიცოდით, რომ უფალი ვერ შეგვინანებს. ვერ წავშლით იმას, ბავშვობიდან რაც რომ დაგვჩემდა, თუმცა, აღარც ღირს გადაშვება ვნების მორევეში, ბედთან ვერ ვდაობთ უბედობის გამოსარჩლებლად, რომ ვერც ჯვარი ვერ დავინერეთ სვეტიცხოველში... ახლა ის გზები, საიდანაც დღემდე მოვედით, ყაყაჩოებით ბრიალებს და არც კვალს არ ინდობს, უნდა შევიძლო, უნდა გაეხდე მართლა პოეტი, რომ ჩემი ლექსით აგამაღლო და განგადიდო. რომ ვარსკვლავები ჰგავდეს სტრიქონს – ცაზედ განელილს და შენი სუნთქვა ყველა ფურცლის იყოს თავდებად, დადგება დრო და მე, ჩემს ლექსებს, შენზედ დანერვილს, შენს სავალ გზებზე დაგილაგებ ფიანდაზებად...

* * *

მე არ მწყინს, თვალს რომ ლოდინი მოწყინდა, სიყვარულს ისევ რომ ვერ მჩუქნი, რეტიანს, არ მწყინს, რომ შენს გვერდით ფუსფუსებს ცოლი და, შენს გულში მისთვის რომ ადგილი მეტია... მე არ მწყინს, დილით რომ თმას უწყობ ტალღებად და კოცნით მის ყელზე ბორბავ და ირევი, არ მწყინს, რომ მე, ამ დროს, სიცოცხლე მაკლდება, ის ერთი სიცოცხლე – კუთვნილზე მცირედი... ის ბალიშს გისწორებს სათუთად დილით და ზრუნავს და სითბოთი გევესება თითები, პატარას გვერდით რომ ჩაგინვენს თილისმად და, უკვე ცხადია, ზედმეტად ვითვლები... რომ მისი კისკისი სიცოცხლით აგავსებს, ჩემს ცრემლს კი ეჭვის და სიმლამის გემო აქვს, ჩაიკრავს გულში და ოქტომბრის ბარათებს ოთახში მოხრილი ფოთლები შემოაქვს... სულ არ მწყინს, რომ აღარ ვსაუბრობთ ამინდზე, თავს აღარ მახუტებ – თბილსა და ფიქრიანს, ლექსი რომ ბავშვივით აბუჩად ამიგდე, სულში კი ქერქეტი მუზები მიქრიან... კვალიც კი აღარ ჩანს კოცნის და იმედებს მიფანტავს დრო, სადაც გაჩერდა საათი, არც ის მწყინს, რომ ასე, ქარისთვის მიმეტებ და ქარსაც უღირსი სახელი დაარქვი... სულ არ მწყინს, სიზმარს რომ ჩამომდებ თათივით, არ მინდა გათენდეს და ველარ გეშვები, სიყვარულს ფერადი საქსოვი ძაფივით თითებზე ვიხვევ და სხეულში მეშვები... რა გითხრა... შენ იცი, ჩემს გულში რა ხდება, – რაც მთელი ცხოვრება მექნება სანერი, ამქვეყნად რაც ჩემი არასდროს გახდება, რომ არ მწყინს, უბრალოდ, ამით ვარ ნაწყენი!!!

ახლა რა დალევს უფერულ დღეებს, ცამ ნისლი მთაზე ამოიხვენემა, ზამთრდება... სულის ფსკერზე ბადეებს დამფრთხალ რითმებთან ვუშვებ და ვგეშვებ... შეხედე, ზამთარს კარი აქვს ღია, მოთოვოს... მე შენ მაკლიხარ, თორემ... სერზე კი ისევ ამოვა ია, გაზაფხულობით რომ ვნატრობ ხოლმე... ვიდრე ამოვა, რა გითხრა მეტი... (ზამთარი მაინც ფუჭად არ ცდება), წინათ რომ დღეებს ფურცლებს ვახვედით, – ძველ სამოსივით ტანზე გვაცვდება. ბავშობის სახლიც ვერ იტევს დარდებს, გულს უყვარს, თვალმა იუკადრისა, – (მამა, ყოველდღე სანთელს რომ ანთებს,) ის, ჩამომწვარი კუთხე სარკმლისა და სახლის მიღმა, მონგრეულ ჭასთან არ დგახარ, როგორც იმ ჭაში წყალი და ერთმანეთშიც იმგვარად გაქრა გრძნობები, როგორც ნაშლილი კვალი... ჰო, ყველაფერი იცვლება ლალად, სიბერეც მალე შეგვირხევს გულებს, მოვა და ლექსი დარჩება დალად გულებს, რომლებსაც ვერ ვუერთგულებთ... ველარ მოვიხდენ ამ თმას, დავერცხლილს, შენს წინ და ველარც ბრმად ვიტყვი სათქმელს და ოქროს ფოთლებს, წვიმით გარეცხილს, ქარი სიბრაზით გაავლებს, გაფენს...



პოეზია



დავით ლომიძე

აქეთ ჯვარია, იქით სამება,
 სვეტიცხოველი და ალავერდი,
 კურთხეულ მიწის ღვიძლი შვილი ვარ,
 სხვა, რა ვინატრო, ამაზე მეტი?
 ასიათასი მონამის მიწა,
 ნინოს ჯვარი და კვართი უფლისა, –
 სხვა, რა ვინატრო, ამაზე მეტი,
 როს საქართველოს იცავს უბისა,
 ქსნის ხეობა და ძამის კლდეკარი,
 ოშკი და ხანძთა – სინმინდე ჩვენი,
 კურთხეულ მიწას, ქართველნი, კვლავაც
 იცავს უფალი – სხივთა მომფენი...

სიყვარულისთვის გაჩენილხარ, ჩემო, ამქვეყნად,
 ლამაზ ფერებად დამანახო გინდა, სამყარო.
 იქნები ჩემთვის მუდამ ერთი, მე – ერთადერთი,
 გზაზე ნაქცეულს, შენი მაღლი გადმომაყარო.
 აღარ იქროლებს ცივი ქარი, რადგანაც ჩემთან
 უფლის ბილიკით მოხვედი და იქეცი ღმერთად,
 იასამნების ყვავილობა მოგვიფენს სურნელს
 აპრილის თვეში, თუ ვიქნებით ორივე ერთად.
 შემოდგომისას კვლავ შევცუროთ ტრფობის მორევში,
 ვერცერთი ტალღა ვერ ჩაკეცავს გრძნობების აფრებს,
 დარჩი ყოველთვის ერთი ჩემთვის, მე – ერთადერთი,
 ლამაზ დღეთასვლის არ მოგაკლებ ჯადოსნურ ზღაპრებს.
 ... და შენ იქნები ჩემთვის ერთი, მე – ერთადერთი...

ღამეს შეეპარა დილის ალიონი,
 ღელვა დატყობია ზეცას,
 სოფელს ახმაურებს თეთრი მაყრიონი,
 მზე კი ოქროს სეფას ძერწავს.
 ჩოხა-ახალუხში ნეფე ბატონი და
 გვერდში ქალი – პატარძალი,
 ღმერთო, შენ დალოცე ჩემი საქართველო,
 აავსე მაღლით და ძალით.
 ღმერთო, გადმოგვეცი ძმობის ალავერდი,
 გავდოთ ერთგულების ხიდი,
 სიყვარულის ბარათები გვანერინე,
 მოგვეც საოება დიდი!..

ქრისტეს შობა

მეოხ მეყავ, უფალო,
 ცოდვა სულზე მედება,
 შენს ბილიკზე დავალ და
 მაღლი გადმომედება.
 სულში მოდი, უფალო,
 გულში იშვი, უფალო,
 მე, უბრალო ცოდვის შვილს,
 ნუ დამტოვებ უკვალოდ...
 გულს გაგიხსნი, მიმიღე,
 სულსაც შენთვის ვიმეტებ,
 მე, მოკვდავს და ცოდვის შვილს,
 ვიცი, არ გამიმეტებ...

სიმარტოვის ზეიმი

დღესაც დავრჩი შენი ნახვის გარეშე,
 ამიფეთქდა სულში ყველა იარა,
 რაც გულში მაქვს, მაინც თუ ვერ გითხარი,
 ვით უღმერთო, გადავტენი იარალს...
 თავს მოვიკლავ? – არა, თავს მოვუკვდები,
 შენზე ისევ, მუზებს ვესაუბრები,
 რომ მიყვარხარ, რომ მჭირდები, ვბრუვდები,
 ჩართულია ნამზომი და ვდუმდები...
 მიათრევენ ტკივილები სხეულს და
 გადაშლილა შავი ფერის მიხაკი,
 ნუ გამიშვებ, შემაჩერო იქნება,
 მიყვარხარო, – ერთხელ მაინც მითხარი...
 იმედს კარგავს, ფერკმთალდება ხვალე და
 სამზადს ვინყებ – სიმარტოვის ზეიმის,
 უშენობით მე ისედაც მკვდარი ვარ,
 სისხლის ტბაში მოცურავე წერილი
 მოვა შენთან, ბოლო ფეთქვის ამარად,
 მიყვარხარო – ჩაგაკვდება ხელებში,
 ის, რაც შენთვის უთქმელი მაქვს, ძვირფასო,
 სულ ყველაფერს ჩავაქსოვებ ლექსებში.

რეაქციონის სიყვით

მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს – გიზო თავაძეს



გზის გასაყართან ბავშვობა იცდის,
 თითქოს ჩაუქრალ კოცონს ვეველები,
 იცის ბავშვობამ, მხოლოდ მან იცის,
 რატომ ეძებენ ხელებს ხელები...
 ვერ გამოვედი მონუსხულ წრიდან,
 ჯერ ისევ ახალ როლს ვიზეპირებ,
 მე, სიყვარულის სახელით, მსჯიდა
 დრო და ამსხვრევდა სულში
 გვებრებს...

გამოგონილი აკვარიუმის
 ბუტაფორიებს ვაბნევედი მძივებს
 და მცდიდა ბედის მილენიუმი –
 განაჩენივით მჩატე და მძიმე ...
 შენ ისევ შენ ხარ... მაცეცხვ ისევ,
 გიდგას მკათათვე საჭირნახულო,
 ცხოვრება ავი ძალივით გვისევეს
 ეჭვებს და... ნარსულს სიზმრად

გზავარედინზე ბავშვობა სახლობს,
 ხელში მომწყვდეულ თოვლის
 გუნდებით...
 და, შორიახლოს, ბედის გაკრული
 ხელნაწერების წაშლას ვუნდებით...
 რას მკარნახობდა ქალური ალლო
 პატარა გოგოს უმანკო გზებით...
 სულში ყინულის ნამსხვრევებს ვაღლობ
 და ბუნიობის ზენიტში ვდგები!..

აპარებს მზერას ალენილ რიდიოთ
 და სხვისი ქმარი დაეძებს საყეს,
 უკვე ნაცადი, ძველ მესხარიდით
 ოცნებობს, ახალ გაზაფხულს აჰყვეს...
 შეცდომით შეთემ შეირთო ცოლი,
 (გაუმხელელის ჯიუტი ჯიბრით),
 ყამკარის გზაკვალარეულ ცთომილს
 სარეცელივით შეაცვდა ხიბლი...
 სადღაც, სივრცეში აცდენილ ქორდას
 უმისამართოდ ანათებს ხომლი,
 იმ ვერგამხელილს ღიმილი ჰქონდა
 და სურნელება პირველი თოვლის...
 მდედრის ალლოთი ღაღანებს ღაღლა,
 აურჟოლებს ჟვავი სექტემბრის ჟიჟოს,
 ფერადი ფუნჯით შემოდის ღაღად
 და შემოდგომა ბავშვივით გიჟობს.
 ახალ ლიბრეტოს ასრულებს წვიმა,
 ლუდლუდებს სულის სახმილში ცეცხლი
 და მარადიულ ცრემლივით ბრწყინავს
 სიცარიელე ამოცლილ ფერცხლის...
 ის კი... მიჰყვება ცხოვრების ქანობს,
 ალენილ მზერას არ ტოვებს რიდი...
 და სხვისი ქმარი ნარსულ გზას ნანობს,
 იმ გზას, რომელიც აღარსად მიდის!..

* საყე – გზის მაჩვენებელი ისარი

* ფერცხალი – ნეკნი

დღე იყო ცეტი და ტკარცალა,
 როს სიზმრებს ამხელდა იგრიკა,
 გამოლვიძება არ გაცალა, –
 მზემ გამოგაცილა შიკრიკად
 იქ, სადაც წვიმების მარაოდ
 თმას შლიდა შრაშუნით თემშარა,
 იქ, სადაც ამურმა,ამაოდ,
 ჭაბუკი პოეტი შეშალა...
 სილაღე გდევს ჭიაკოკონის,
 ფიცვერცხლით სავეს გაქვს ბადია,
 მყარია და-ძმობის ბოკონი –
 სიმდიდრე, რაც რომ გაბადია...
 ძარღვებში მელანი კვარჩხალებს,
 მოყვას ოდა უძღვნა, გწყურია,
 უტკბილეს ყრმობის ნაკვერჩხალებს
 ხსოვნაში გინახავს გურია...
 რაც დღემდე სააკვენ დათლილა,
 შენი სიხარულიც “მაია”,
 მე შენი უმრწმესი ქართლი ვარ,
 შენ – ჩემი ბებერი აია, –
 ამაყი ძირძველი თოხუმით,
 გამშვიდებს შრიალი რცხილნარის,
 დარდი გწვავს წართმეულ სოხუმის
 და სევდა დაცლილი ცხინვალის...

...და სანამ მოაღწევ ჩემამდე,
 (მოგყვება უფერო ნაფთევი),
 შენი შემოდგომა მე მანდე, –
 დაღლილი და ღამენათევი...
 ვაგროვებ თოვლზე და თოვლიან
 ლექსებს, ჩემეული ფაციციტო,
 ვიცი, რომ ცრიატი ხომლია
 მხოლოდ, ერთმანეთზე რაც ვიცი...
 როდინში ლოდინი სლუკუნებს,
 ფერით და გემოთი ღანძილის,
 ჩემამდე ეკვროდი უკუნეთს,
 შემოკლდა ჩემამდე მანძილი...
 ტაატიტ ტორტმანებს ურემი,
 ჯვარავით მძიმეა სათარი,
 უჩემოდ ფიქრია ულევი,
 ჩემთან კი – სიმშვიდის საფარი...

* სათარი – ურემს გამობმული დიდი მორი.

მე ანბანივით გასწავლი ჩემს თავს
 და შენც მკითხულობ სასოებით...
 სხეულზე, როგორც სურვიდან, წვეთავს
 ცრემლები – სულის ასოები...
 ეს შემოდგომაც ქარში ცახცახებს, –
 თალხი და ფერებწართმეული...
 და ფრთხილი ვნებით ნებეგრობს ცახე
 არილზე, ჩემი სათმეულის.
 გზავარედინზე წევს ფერი წითლის,
 გაკრთობს აკრძალვა შუქნიშნითა,
 დროის მდინარე დინებებს ითვლის,
 ცხელი ხუნდები სულს გიშანთავს...
 ვარსკვლავს მაკვირდები, როგორც
 მოგვი,

P.S. რითმებად ირთება ასოები, გარეთ ნოემბრის ისხარია, უხმოდ მკითხულობ, სასოებით და მე ბავშვივით მიხარია...

* ცახე – მზის სხივით განათებული მტვერი.